



საქართველოს ჯანდაცვის
სამინისტროს
საინფორმაციო
სამსახური



საქართველო



საქართველო მოკლე მიმოხილვა

შიდსთან, ტუბერკულოზთან და მალარიასთან ბრძოლის გლობალური ფონდის პროგრამები საქართველოში

2003 წლიდან, მას შემდეგ, რაც დაფინანსების პირველი მოთხოვნა იქნა დამკვიცებული, საქართველო ანხორციელებს შიდსთან, ტუბერკულოზთან და მალარიასთან ბრძოლის გლობალური ფონდის (შემდგომში „გლობალური ფონდი“) პროგრამებს. პროგრამების დაწყებიდან დღემდე, საქართველომ მიიღო 119,2 მილიონი ამერიკული დოლარის ინვესტიცია (74.1 მილიონი შიდსის პროგრამისათვის, 41,9 მილიონი ტუბერკულოზის პროგრამისათვის და 3.5 მილიონი მალარიის პროგრამისათვის).

გლობალური ფონდის მხარდაჭრა იყო გადამწყვეტი ქვეყანაში მალარიის ელიმინაციის მისაღწევად (2010 წლის შემდეგ ქვეყანაში არ დაფიქსირებულა მალარიის არც ერთი შემთხვევა) და შიდსისა და ტუბერკულოზის ფართომასშტაბიანი ეპიდემიის თავიდან ასაცილებლად.

მხოლოდ გლობალური ფონდის მხარდაჭერით გახდა შესაძლებელი აივ ინფიცირებული პაციენტებისათვის სიცოცხლის შემანარჩუნებელი ანტირეტროვირუსული (არვ) მკურნალობის და როგორც სენსიტიური ასევე მულტირეზისტენტული ტუბერკულოზის მქონე პაციენტებისათვის ეფექტური ანტიტუბერკულოზური მკურნალობის დანერგვა.

2017 წლის ოქტომბრის ბოლოსათვის, არვ მკურნალობაზე იმყოფებოდა 4018 აივ დადებითი პაციენტი, (3317 პირველ რიგზე და 701 მეორე რიგზე) და 20000 პაციენტზე მეტი იღებდა ტუბერკულოზის სამკურნალო წამლებს.

კომპონენტები	დამტკიცებული	ვალდებულება	დახარჯული
შიდსი	US\$84,351,026	US\$78,187,522	US\$74,066,047
ტუბერკულოზი	US\$50,585,396	US\$46,354,378	US\$41,889,518

მაღარია	US\$3,500,710	US\$3,500,710	US\$3,500,710
სულ	US\$138,437,132	US\$128,042,610	US\$119,456,275

პროგრამული მიღწევები

2005 წლიდან ქვეყანაში უზრუნველყოფილია არც მედიკამენტებზე უნივერსალური ხელმისაწვდომობა, მათ შორის აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობისათვის. საქართველოს არც პროგრამა აივ ინფიცირებული პაციენტების მაღალი მოცვით, მკურნალობაზე დამყოლობის მაღალი მაჩვენებლებით და მთელი ქვეყნის მასშტაბით მაღალი ხარისხის მომსახურებით, აღიარებულია, როგორც ერთ-ერთი საუკეთესო აღმოსავლეთი ევროპისა და აზიის რეგიონში.

2015 წლიდან ქვეყანა გადავიდა ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ რეკომენდებულ მიდგომაზე: მკურნალობა ყველა აივ ინფიცირებულს განურჩევლად CD4 ლიმფოციტების რაოდენობისა სისხლში.

საქართველო ასევე იყო პირველი რეგიონში, რომელმაც 2005 წელს დაიწყო მეთადონის ჩანაცვლებითი მკურნალობის პროგრამა და მეთადონის დეტოქსიფიკაციის პროგრამა ორ ციხეში.

გლობალური ფონდის მხარდაჭერით ქვეყანამ შეძლო გაეფართოვებინა ნემსებისა და შპრიცების პროგრამით ნარკოტიკების ინტრავენურად მომხმარებლების მოცვა. ამჟამად ქვეყანაში მოქმედებს 14 დროფ-ინ ცენტრი და 8 მობილური ამბულატორია, რაც ფარავს საქართველოს 55 ქალაქს.

კომერციული სექს მუშაკი ქალებისათვის (კსმქ) და მამაკაცებისათვის, რომელთაც სექსი აქვთ მამაკაცებთან (მსმ) ხელმისაწვდომია აივ-პრევენციული მომსახურება და აივ-ზე ნებაყოფლობითი კონსულტირება და ტესტირება (ნკტ) ქვეყნის 5 ქალაქში, რაც ხორციელდება საკონსულტაციო ცენტრებში, აუთორიზზე და სათემო რესურს ცენტრებში.

საქართველო ასევე, არის პირველი რეგიონში, რომელმაც 2017 წლიდან დაიწყო პრე-ექსპოზიციური-პროფილაქტიკის (პრეპ) პილოტირება მსმ თემში და მომავალში გეგმავს პროგრამის გეოგრაფიულ გაფართოვებას და სხვა აივ-ზე მაღალი რისკის ჯგუფების მოცვას.

მთავარი გამოწვევა აივ პროგრამისათვის არის აივ ინფიცირებულთა დეტექციის დაბალი მაჩვენებელი და დიაგნოსტირება დაავადების გვიან სტადიებზე,



ამ გამოწვევასთან გამკლავება შესაძლებელია ნკტ სერვისების გაფართოვებით აივ-ზე მაღალი რისკის ჯგუფებში, რაც მნიშვნელოვნადაა მხარდაჭერილი გლობალური ფონდის აივ პროგრამის მიერ

ტუბერკულოზის პროგრამამ მიაღწია მნიშვნელოვან წარმატებას ტუბერკულოზის კონტროლის საერთაშორისო გაიდლაინების დანერგვის კუთხით. ბოლო წლებში შესამჩნევია გაუმჯობესება ტუბერკულოზით ავადობის ტვირთის მხრივ, რაც დასტურდება ტუბერკულოზის შემთხვევების რაოდენობის კლებაში. დიაგნოსტიკებისა და მკურნალობის უნივერსალური ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია ტუბერკულოზის ყველა ფორმის მქონე პაციენტებისათვის. დიაგნოსტიკის ინოვაციური მეთოდების გამოყენება სენსიტიური და წამლებისადამი მდგრადი ტუბერკულოზის დიაგნოსტიკისათვის თანდათანობით იზრდება. 2017 წლის ივლისისათვის, სულ 370 პაციენტი იყო ჩართული მკურნალობის ახალ რეჟიმში, რომელთათვისაც პარალელურად დაინერგა წამლების უსაფრთხოების მონიტორინგის სისტემა. ამბულატორიული მკურნალობის გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით დედაქალაქში მოხდა ვიდეო ობზერვაციული თერაპიის პილოტური პროგრამის ინიცირება.

საქართველო არის ერთ-ერთი ქვეყანა, რომელსაც მხარს უჭერს აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის ტუბერკულოზის რეგიონალური პროექტი (TB-REP), რომლის მიზანია ჯანდაცვის სისტემების გაძლიერება სენსიტიური და წამლისადამი რეზისტენტული ტუბერკულოზის ეფექტური კონტროლი. საქართველო მხარს უჭერს TB-REP პროექტის მიერ შემოთავაზებულ გეგმას: „ტუბერკულოზით ინფიცირებული პაციენტების მოვლის ინდივიდუალური ორიენტირებული მოდელი“.


C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამა გახდა ახალი მამოძრავებელი ძალა აივ-ის, C ჰეპატიტისა და ტუბერკულოზის შემთხვევების გამოსავლენად. გლობალური ფონდის მხარდაჭერით ქვეყანამ დაიწყო ნოვატორული პილოტური პროგრამა სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში, რაც მოიცავს აივ-ის, ტუბერკულოზისა და C ჰეპატიტის სკრინინგული მომსახურების (გამოვლენა და მართვა) მოქცევას ერთი ქოლგის ქვეშ ჯანდაცვის პირველადი რგოლის (ამბულატორიული ცენტრები და ოჯახის ექიმები) მნიშვნელოვანი ჩართულობით. ადგილობრივი რეგიონული ხელისუფლება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის და ტუბერკულოზის ეროვნული ცენტრისა და შიდსის ცენტრის მხარდაჭერით უხელმძღვანელებს პროგრამას.

გლობალური ფონდის ტუბერკულოზის პროგრამამ დაიწყო „Zero TB Initiative“- ის


განხორციელება აჭარის რეგიონში. ამ ინიციატივის მიზანი „Stop TB” პროგრამასთან ერთად არის „ელიმინაციის კუნძულების“ შექმნა, რაც ხელს შეუწყობს ტუბერკულოზის შემთხვევების შემცირებას. აჭარის რეგიონში პროგრამას აქვს შემდეგი კონკრეტული მიზნები: ტუბერკულოზის შემთხვევების აღმოჩენა, მკურნალობის გამოსავლის გაუმჯობესება შემთხვევის სრული მართვის გზით და მობილური პოპულაციისათვის სპეციფიკური (სასაზღვრო) აქტივობების დანერგვის გზით.

გლობალური ფონდის პროგრამების მდგრადობა საქართველოში

2016 წლიდან საქართველო გადავიდა დაფინანსების ახალ მოდელზე (18.4 მილიონი USD შიდსის პროგრამა და 11.9 მილიონი USD) სადაც საქართველოს სახელმწიფომ სურლიად დააკმაყოფილა თანადაფინანსების პირობები. შიდსისა და ტუბერკულოზის ორივე პროგრამაში სახელმწიფოს წილმა ბოლო სამი წლის მანძილზე გადააჭარბა მთელი პროგრამული დაფინანსების 60%-ს.



ტუბერკულოზის პროგრამის დაფინანსება



მომდევნო საფინანსო პერიოდისათვის ქვეყანას შეუძლია მოითხოვოს 15.8 მილიონი ამერიკული დოლარი, რაც ორჯერ ნაკლებია მიმდინარე გრანტების დაფინანსების მოცულობაზე. 2018 წლის აგვისტოში ქვეყანა აპირებს მოითხოვოს დაფინანსების გაგრძელება ორივე პროგრამისათვის 2022 წლის ბოლომდე.

2017-2019 წლებში შემუშავდა გლობალური ფონდის პროგრამების მდგრადობისა და გარდამავალი ეტაპის გეგმა, რომელიც ასახავს საშუალო და მოკლევადიან გამოწვევებს გლობალური ფონდის პროგრამების სახელმწიფოსათვის გადაცემის გარდამავალ პერიოდში.

რადგან გლობალური ფონდი ამცირებს დაფინანსებას (50%) მომდევნო დაფინანსების პერიოდში, საქართველოს მთავრობამ უნდა მოახდინოს ჯანდაცვის სექტორში შიდა ფინანსური რესურსების მობილიზება რათა დაფაროს მზარდი პროგრამული მოთხოვნა დაავადებათა მართვის გაუმჯობესების საპასუხოდ.

2015 წლიდან საქართველოს მთავრობა აფინანსებს პირველი რიგის არც და ტუბერკულოზის წამლების შესყიდვას. ამ წელს მეორე რიგის წამლების 25%-ის შესყიდვა მოხდება ასევე სახელმწიფოს მიერ. 2017 წლის ივლისიდან მეტადონით ჩანაცვლებითი თერაპიის პროგრამა მთლიანად გადავიდა სახელმწიფო დაფინანსებაზე. სახელმწიფომ მოხსნა მეტადონით ჩანაცვლებითი თერაპიის პროგრამაში მონაწილე ნარკოტიკების ინექციური მომხმარებლების თანადაფინანსება და პროგრამა მოსარგებლებისათვის არის სრულიად უფასო.

მომდევნო ორი წლის განმავლობაში ქვეყანა თანდათანობით აიღებს თავის თავზე სადიაგნოსტიკო ტესტ-სისტემების შესყიდვას, როგორცაა ვირუსული დატვირთვის ტესტი და სისხლში CD4 რაოდენობის განსაზღვრის ტესტი. არის მოლოდინი, რომ 2019 წლის ტუბერკულოზის სახელმწიფო პროგრამა დაფარავს ტუბერკულოზის სადიაგნოსტიკო

ტესტებისა და წამლების მნიშვნელოვან ნაწილს. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ პირველი და მეორე რიგის წამლების შესყიდვა სახელმწიფო პროგრამის საშუალებით ხორციელდება გლობალური ფონდისა და წამლის გლობალური დაწესებულების (Global Drug Facility) შესყიდვის გაერთიანებული მექანიზმის გამოყენებით, რაც უზრუნველყოფს მაღალი ხარისხის წამლების შესყიდვას სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, ოპტიმალურ ფასად და მოწოდების პირობით.

აივ პროგრამის მდგრადობა არის განსაკუთრებით კრიტიკული. სახელმწიფომ უნდა დაიწყოს აივ-ის პროგრამის პრევენციული ნაწილის დაფინანსება 2020 წლიდან. გლობალური ფონდის, ევროპის ზიანის შემცირების ქსელის და გაერთიანებული ერების მოსახლეობის ფონდის მხარდაჭერით შემუშავდა ნემსებისა და შპრიცების და მეთადონით ჩანაცვლებით თერაპიის ეროვნული სტანდარტი, ასევე პრევენციული ინტერვენციების სტანდარტები, კომერციული სექს მუშაკი ქალებისა და მამაკაცებისათვის ვისაც აქვთ სექსი მამაკაცებთან. სტანდარტებში ასახული განფასების საფუძველზე მთავრობა მიიღებს გადაწყვეტილებას აივ პრევენციული პროგრამის კომპონენტების დაფინანსების შესახებ.

გარდამავალი გეგმის განხორციელება დიდად არის დამოკიდებული ქვეყნის მიერ მობილიზებულ საერთაშორისო ტექნიკურ დახმარებაზე. ამ მხრივ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის და სხვა პარტნიორების დახმარება არის არსებითი შესაბამისი სტრატეგიული დოკუმენტების შემუშავებისათვის და საერთაშორისო ტექნიკური მრჩეველთა გუნდი მიერ შემოთავაზებული ნოვატორული ინტერვენციების ტესტირება-დანერგვისათვის.



საქართველოს შრომის,
ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის
სამინისტრო

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის სამინისტრო
ა.წერეთლის გამზ.144 თბილისი, საქართველო, 0119
www.moh.gov.ge



დაავადებათა კონტროლისა და
საზოგადოებრივი
ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი
ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი
მ.ასათიანის ქ.9, თბილისი, საქართველო, 0177
www.ncdc.ge